



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის

ბრძანება № 143

2015 წლის 06 ოქტომბერი

ქ. თბილისი

სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის
კვლევითი ცენტრის „დოქტორანტებისათვის ერთობლივი კვლევით-საგანმანათლებლო
პროგრამის“ გამოცხადების შესახებ

სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და იულიხის სამეცნიერო
ცენტრს შორის დოქტორანტებისა და მაგისტრანტებისათვის იულიხ-საქართველოს
ერთობლივად დაფინანსებული პროგრამის შესახებ შეთანხმებისა და „საჯარო სამართლის
იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და
მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7
მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ და „კ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და
გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის „დოქტორანტებისათვის ერთობლივი კვლევითი-
საგანმანათლებლო პროგრამა;
2. დამტკიცდეს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და
გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის „დოქტორანტებისათვის ერთობლივი კვლევითი-
საგანმანათლებლო პროგრამის“ პირობები ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
3. ამ ბრძანების დანართ N2-ად განისაზღვროს შეთანხმება სსიპ შოთა რუსთაველის
ეროვნულ სამეცნიერო ფონდისა და იულიხის სამეცნიერო ცენტრს შორის დოქტორანტებისა
და მაგისტრანტებისათვის იულიხ-საქართველოს ერთობლივად დაფინანსებული პროგრამის
შესახებ.
4. დამტკიცდეს განაცხადის ფორმა ამ ბრძანების N3 დანართის შესაბამისად;
5. დამტკიცდეს ბიოგრაფიული მონაცემების (CV)-ს ფორმა ამ ბრძანების დანართი N4-ის
შესაბამისად;

6. დამტკიცდეს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის „დოქტორანტებისათვის ერთობლივი კვლევით-საგანმანათლებლო პროგრამის“ ბიუჯეტის ფორმა ამ ბრძანების დანართი N5-ის შესაბამისად;

7. დამტკიცდეს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის „დოქტორანტებისათვის ერთობლივი კვლევით-საგანმანათლებლო პროგრამა“-ში მონაწილეობის შესახებ განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N6-ის შესაბამისად;

8. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;

9. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;

10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).

მანანა მიქაბერიძე

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

